

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა „საშემსრულებლო ხელოვნება“ მისაღები გამოცდების/შემოქმედებითი ტურების მოთხოვნები

სპეციალობა - „საორკესტრო სიმებიანი საკრავები“

შემოქმედებითი ტურები:

1. სპეციალობა;

2. მუსიკის თეორია:

სოლფეჯიო – სმენითი ანალიზი (წერა),

ტესტი მუსიკის თეორიაში (წერა).

აბიტურიენტის ცოდნა თითოეულ ტურში ფასდება ასქულიანი (100) სისტემით; დადებითი შეფასებაა 51-100.

1. სპეციალობა

ვიოლინო

აბიტურიენტმა უნდა შეასრულოს:

1. კაპრისი ან ეტიუდი;
2. ბახი. სონატის ან პარტიტის (სოლო) ორი ნაწილი (ნელი, ჩქარი);
3. კონცერტის პირველი ნაწილი ან მეორე და მესამე ნაწილები: ანდა ვარიაციული ფორმა;
4. ერთი პიესა.

შენიშვნა: თუ აბიტურიენტი შეასრულებს ვირტუოზულ პიესას, იგი გათავისუფლდება 1-ლი პუნქტით მოთხოვნილი კაპრისის ან ეტიუდის შესრულებიდან. ხოლო თუ პიესა არ იქნება ვირტუოზული, ასეთ შემთხვევაში აბიტურიენტმა უნდა შეასრულოს 1-ლი პუნქტით მოთხოვნილი კაპრისი ან ეტიუდი

ალტი

აბიტურიენტმა უნდა შეასრულოს:

1. კაპრისი ან ეტიუდი;
2. პოლიფონიური ნაწარმოების ორი ნაწილი;
3. კონცერტის ან სონატის პირველი ნაწილი ან მეორე და მესამე ნაწილები: ანდა ვარიაციული ფორმა;
4. ერთი პიესა.

ჩელო

აბიტურიენტმა უნდა შეასრულოს:

1. კაპრისი ან ეტიუდი;
2. ბახის სიუიტა ჩელოსათვის: პრელუდია ან ნებისმიერი ორი ნაწილი;
3. კონცერტის პირველი ნაწილი ან მეორე და მესამე ნაწილები: ანდა ვარიაციული ფორმა;
4. ერთი პიესა.

კონტრაბასი

აბიტურიენტმა უნდა შეასრულოს:

1. სხვადასხვა ტექნიკური სირთულის შემცველი ერთი ეტიუდი;
2. კონცერტის პირველი ნაწილი ან მეორე და მესამე ნაწილები: ანდა სონატის ორი ნაწილი (ნელი და ჩქარი);
3. პოლიფონიური ნაწარმოები (ერთი ან ორი ნაწილი)

არფა

აბიტურიენტმა უნდა შეასრულოს:

1. ერთი ეტიუდი;
2. კონცერტის ან სონატის პირველი ან მეორე და მესამე ნაწილები: ანდა ვარიაციული ფორმა;
3. ერთი პიესა.

გიტარა

აბიტურიენტმა უნდა შეასრულოს:

1. ეტიუდი;
2. ერთი ნაწილი ი.ს.ბახის სიუიტიდან;
3. კონცერტის ან სონატის პირველი ან მეორე და მესამე ნაწილები: ანდა ვარიაციული ფორმა;
4. ერთი პიესა.

(საგამოცდო ნაწარმოებები სრულდება ზეპირად, გამონაკლისს წარმოადგენს XXI საუკუნის ნაწარმოებები, რომელთა შესრულებაც ზეპირად არ არის სავალდებულო)

2. მუსიკის თეორია:

აბიტურიენტმა სმენითი ანალიზი უნდა ჩაწეროს აუდიოჩანაწერის (ფორტეპიანოზე შესრულებულის) მიხედვით.

სმენითი ანალიზი

1. კილო: სამი სახის მაჟორი; სამი სახის მინორი; ორმაგად ჰარმონიული მაჟორი და მინორი; მაჟორული და მინორული პენტატონიკა; დიატონური კილოები (მიქსოლიდიური, ლიდიური, ფრიგიული, დორიული). (გამოცდაზე შესრულდება 7 კილო, თითოეული დაიკვრება 3-ჯერ)
2. ინტერვალი: მარტივი და შედგენილი: ყველა წმინდა, დიდი და პატარა; გადიდებული და შემცირებული (+4; -5; -4; +5; +2; -7; -3; +6) გადაწყვეტით. (გამოცდაზე შესრულდება 7 ინტერვალი, თითოეული დაიკვრება 3-ჯერ)

3. აკორდი (მჭიდრო და ფართო განლაგებით): სამხმოვანება - მაჟორული, მინორული და შემცირებული შებრუნებებით, გადიდებული მხოლოდ ძირითადი სახის. სეპტაკორდი - მცირე მაჟორული, მცირე მინორული, მცირე შემცირებული, შებრუნებებით, შემცირებული, მცირე მაჟორული სექსტით (მაჟორში); ნონაკორდი მაჟორული - დიდი და პატარა. აკორდები იკვრება გადაწყვეტის გარეშე. (გამოცდაზე შესრულდება 7 აკორდი, თითოეული დაიკვრება 3-ჯერ)
4. ერთტონალური აკორდული თანმიმდევრობა (შედგენილი), რომელშიც შევა ჰარმონიის კურსის პროგრამით გათვალისწინებული მოთხოვნები. (იკვრება 3-ჯერ)

ტესტი მუსიკის თეორიაში (მუშაობის დრო - 1,5 ასტრონომიული საათი).

ერთტონალური მელოდიის ჰარმონიზაცია (8 ტაქტი)